საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/27

04 სექტემბერი, 2013 წ. **ქ. ბათუმი**

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებისათვის განცხადებების წარდგენის ვადებისა და აღიარების კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანების, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის 2013 წლის 4 სექტემბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველთათვის განცხადებების წარდგენისა და აღიარების კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
   - **განცხადების წარდგენა - 2013 წლის 9 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით;**
   - **აღიარების კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება - 2013 წლის 16 სექტემბრიდან 18 სექტემბრის ჩათვლით;**

2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა დაწესებულებას კანცელარიის მეშვეობით უნდა წარმოუდგინოს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველთათვის შესაბამისი განათლების აღიარების მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

,,ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულებით:

ა) ნათია მელაძე - სასტუმრო ,,რედისონი“-ს ადამიანური რესურსების მენეჯერი (დამსაქმებელი);
ბ) ბაჩანა შელია - სასტუმრო ,,შერატონი“-ს ადმინისტრატორი (მასწავლებელი);
გ) როსტომ ბერიძე - ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი (ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

,,ინჟინერიის“ მიმართულებით:

ა) მალხაზ თავდგირიძე - კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის ფირმა, შპს ,,საბატა“ (დამსაქმებელი);
ბ) ვლადა ხიმენკო - კომპიუტერული ქსელების სპეციალისტი (მასწავლებელი);
გ)ანზორ ბერიძე - ბსუ განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

,,ინჟინერიისა“ და ,,მიმართულებათაშორისო დარგები ან სპეციალობის“ მიმართულებით:

ა) ნუგზარ ნაკაშიძე - სს „სილქნეტი“-ს დირექტორის მოადგილე (დამსაქმებელი);
ბ) ბილალ ანანიძე - სამშენებლო კომპანია შპს „მონოლითი“-ს ტექნიკური დირექტორი (დამსაქმებელი);
გ) თინა ბაჟინოვა - შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მართვის სისტემებისა და კადრების მომზადების განყოფილება;
დ) რევაზ კომახიძე - ტელეკომუნიკაციის სპეციალისტი (მასწავლებელი);
ე) ელგუჯა ხაზარაძე - არქიტექტორი;
ვ) ნინა მეგრელიძე - ნავთობისა და გაზის ტექნოლოგი;
ზ) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი (ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

,,აგრარული მეცნიერების “ მიმართულებით:

ა) მამუკა თურმანიძე - სოფლის მეურნეობის სამინისტროს დანერგვის განყოფილების უფროსი (დამსაქმებელი);
ბ) ნაზი ლეონიძე - ბოტანიკური ბაღის თანამშრომელი (მასწავლებელი);
გ) ავთანდილ მურვანიძე - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (ადმინისტრაციის წარმომადგენელი).

4. კომისიას დაევალოს იმოქმედოს „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანებით, პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით, წინამდებარე ბრძანებით და წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით არაუგვიანეს 2013 წლის 19 სექტემბრისა წარმოადგინოს გადაწყვეტილებები არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**